

წერიტი გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე)

(კერძო (ბიზნეს) სამართლის, საჯარო სამართლისა და პოლიტიკის და სისხლის სამართლის
სამაგისტრო პროგრამებისთვის)

ინსტრუქცია

გამოცდა შედგება ორი ნაწილისაგან: წაკითხულის გააზრება და წერა.

წაკითხულის გააზრება

დრო: 1 საათი. ამ დროის განმავლობაში მუშაობთ ტექსტზე და პასუხები გადაგაქვთ სპეციალურ ფურცელზე. პასუხები, სასურველია, გადაიგანოთ ფანქრით. პასუხის შეცვლას თუ გადაწყვეტთ - წამალეთ არასასურველი ვარიანტი და დაწერეთ სასურველი. გადახაზული პასუხი არ ჩაითვლება!

წერა

დრო: 40 წუთი. დასაგეგმად შეიძლება გამოიყენოთ ტექსტის გვერდი. პასუხები გადაგაქვთ სპეციალურ ფურცელზე. წერით ფანქრით ან საწერი კალმით (თქვენი არჩევანია!). ტექსტი უნდა იყოს გარკვევით დაწერილი.

გაფრთხილება: გამოცდაზე აუცილებლად იქონიეთ პირადობის მოწმობა, ფანქარი, საშლელი, სათლელი და საწერი კალამი.

დაუშვებელია:

- წერის დროს მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენება;
- აუდიტორიის დატოვება;
- გადალაპარაკება.

შენიშვნის მიღების შემთხვევაში დატოვებთ აუდიტორიას და თქვენი ნაშრომი არ გასწორდება.

წერიტი გამოცდა კერძო (ბიზნეს) სამართალში

ინსტრუქცია

წერა შედგება ორი ნაწილისაგან: კაზუსი და ესე

დრო: 3 საათი

გაფრთხილება: გამოცდაზე აუცილებლად იქონიეთ პირადობის მოწმობა და საწერი კალამი.

წერის დროს შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება.

კაზუსი და ესე მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან.

დაუშვებელია:

- წერის დროს მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენება;
- აუდიტორიის დატოვება;
- გადალაპარაკება.

შენიშვნის მიღების შემთხვევაში დატოვებით აუდიტორიას და თქვენი ნაშრომი არ გასწორდება.

წერიტი გამოცდა საჯარო სამართალში

ინსტრუქცია

წერა შედგება ორი ნაწილისაგან: კაზუსი და ესე

დრო: 3 საათი

გაფრთხილება: გამოცდაზე აუცილებლად იქონიეთ პირადობის მოწმობა და საწერი კალამი.

წერის დროს შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის გამოყენება.

კაზუსი იქნება საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციიდან:

ესე - გთხოვთ, მოამზადოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (უკანასკნელი 5 წლის) საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებულ, კერძოდ: მე-13 (ადამიანის თავისუფლება); მე-19 (საკუთრების უფლება); 21-ე (შეკრების თავისუფლება), 25-ე (საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება), 26-ე (შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება); 31-ე (საპროცესო უფლებები) 33-ე (უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები) მუხლებში მოცემულ უფლებებთან მიმართებით.

შენიშვნა: წარმოდგენილი მუხლები მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის თანახმად, შესაბამისად კონკრეტული მუხლის ნუმერაციის ცვლილების გამო (2017-2018 წლის კონსტიტუციური რეფორმის გათვალისწინებით) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის დეკემბრამდე (კონსტიტუციის ახალი რედაქციის ძალაში შესვლის თარიღი) გადაწყვეტილებები მოცემულია კონსტიტუციის ძველი რედაქციის ნუმერაციის მიხედვით. მაგალითად: თქვენ უნდა დაამუშაოთ კონსტიტუციის მე-19 მუხლთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები (საკუთრების უფლება), შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა 2018 წლის დეკემბრამდე საკუთრების უფლებაზე მსჯელობისას მოიაზრებს მაშინ მოქმედ 21-ე მუხლს, ხოლო 2018 წლის დეკემბრის მერე - მე-19 მუხლს.

დაუშვებელია:

- წერის დროს მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენება;
- აუდიტორიის დატოვება;
- გადალაპარაკება.

შენიშვნის მიღების შემთხვევაში დატოვებთ აუდიტორიას და თქვენი ნაშრომი არ გასწორდება.

წერითი გამოცდა სისხლის სამართალში

ინსტრუქცია

წერა შედგება ორი ნაწილისაგან: ორი კაზუსი (სისხლის სამართლის კოდექსიდან და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან)

დრო: 3 საათი

გაფრთხილება: გამოცდაზე აუცილებლად იქონიეთ პირადობის მოწმობა და საწერი კალამი.

წერის დროს შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამოყენება.

კაზუსი გათვალისწინებულია სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან.

დაუშვებელია:

- წერის დროს მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენება;
- აუდიტორიის დატოვება;
- გადალაპარაკება.

შენიშვნის მიღების შემთხვევაში დატოვებთ აუდიტორიას და თქვენი ნაშრომი არ გასწორდება.

გასაუბრება

(კერძო (ბიზნეს) სამართლის, საჯარო სამართლისა და პოლიტიკის და სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამებისთვის)

ინსტრუქცია

გაფრთხილება: გასაუბრებაზე აუცილებლად იქონიეთ პირადობის მოწმობა

გასაუბრება ჩატარდება 3-წევრიან კომისიასთან. გასაუბრების შეფასების კრიტერიუმებია: მოტივაცია და პრეზენტაცია.

გასაუბრების ფარგლებში შემოწმდება კანდიდატის მოტივაცია, სამაგისტრო პროგრამით დაინტერესება, პრეზენტაციის უნარი, პროფესიულ საკითხებზე მსჯელობა, ანალიტიკური აზროვნება.

ქულების განაწილება პროგრამების მიხედვით:

- კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა:
 1. წერა - კაზუსი, ესე - 50%
 2. ინგლისური ენის გამოცდა B2 დონე - 25%;
 3. გასაუბრება - 25%;
- საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა:

1. წერა - კაზუსი, ესე - 50%
 2. ინგლისური ენის გამოცდა B2 დონე - 25%;
 3. გასაუბრება - 25%;
- სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა:
 1. წერა - კაზუსი - 40%;
 2. ინგლისური ენის გამოცდა B2 დონე - 30%;
 3. გასაუბრება - 30%;